ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ადგილობრივი სტრატეგიული ხედვა 2023-2025

Open Government Partnership

OGP LOCAL

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

ვალდებულება #1: ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე შშმ პირებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდა

- ვადები - იანვარი 2023 - აგვისტო 2025
- წამყვანი განმახორციელებელი უწყება- ქ.ქუთაისის მერია (დონორი ორგანიზაცია)

ვალდებულების აღწერა

<u>პრობლემა:</u>

ქუთაისში მცხოვრები შშმ პირები სირთულეებს აწყდებიან მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ ძირითადი საჯარო ინფორმაციისა და სერვისების მიღებისას, რადგან ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, მათ შორის მუნიციპალური ვებგვერდი, შშმ პირთა საჭიროებებთან ადაპტირებული არ არის.

<u>ქმედება :</u>

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდს დაემატება აუდიო გახმოვანების პროგრამა და ჟესტური კომუნიკაციის კომპონენტი, რომელიც უსინათლო, მხედველობადაქვეითებულ და სმენადაქვეითებულ პირებს საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის ვებ-ვერდზე არსებული ყველა საჯარო ინფორმაცია და სერვისი ხმოვანი და ჟესტური სახით მიიღონ.

ვალდებულების მოსალოდნელი შედეგები

ქუთაისის მერია უზრუნველყოფს უსინათლო და მხედველობადაქვეითებული და სმენადაქვეითებული პირებისთვის ისეთ ინფორმაციასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, როგორიცაა:

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და მისი საჯარო განხილვა;
- სოციალური სერვისები და პროგრამები;
- მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარება და განაშენიანება;
- კულტურული ღონისძიებები;
- განათლება (მათ შორის სკოლისგარეშე, ადრეული და სკოლამდელი აღზრდა-განათლება);
- კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურა (საავტომობილო გზები და ტრანსპორტი);
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები.

ვალდებულების კავშირის სტრატეგიული ხედვის გრძელვადიან მიზანთან

- ვალდებულება პირდაპირ კავშირშია ქუთაისის მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან, როგორიცაა მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა, განსაკუთრებული აქცენტით მოწყვლად ჯგუფებზე.



OGP-ის პრინციპებთან შესაბამისობა

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- საზოგადოების მონაწილეობა
- ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციური მიდგომები მეტი გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის

ვალდებულება N2 SMS პლატფორმის დანერგვა მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით

- ვადები- იანვარი 2023-აგვისტო 2025
- წამყვანი განმახორციელებელი უწყება - ქ.ქუთაისის მერია (დონორი ორგანიზაცია)

ვალდებულების აღწერა

<u>პრობლემა:</u>

მოქალაქეთა ინფორმირების დაბალი დონე, როგორც ქუთაისის მუნიციპალიტეტში, ასევე, სრულიად საქართველოს მასშტაბით მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ამ გამოწვევის საპასუხოდ, მუნიციპალიტეტმა პროაქტიულად და მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხებით უნდა მიაწოდოს მოქალაქეებს ინფორმაცია მუნიციპალური საქმიანობისა და სერვისების შესახებ.

<u>ქმედება:</u>

ამ ვალდებულების მიზანია ქუთაისის მაცხოვრებლებისთვის მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად მიწოდება „SMS პლატფორმის“, როგორც მოქალაქეებთან კომუნიკაციის სწრაფი და პირდაპირი სივრცის, დანერგვის გზით.

ეს სისტემა მოქალაქეთა ინფორმირებას, ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბებასა და აღნიშნული ჯგუფებისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (მესიჯების) დაგზავნას გულისხმობს (მაგ: მესიჯები სოციალური პროგრამების, საჯარო შეხვედრების, საკრებულოს სხდომებისა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების (LED) ინიციატივების დაგეგმვის შესახებ).

ვალდებულების მოსალოდნელი შედეგები

ვალდებულების შესრულების შედეგად, ინფორმირების SMS სისტემა უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის ინფორმაციის რეგულარულად მიწოდებას სხვადასხვა მიმართულებებზე, მათ შორის:

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და მისი საჯარო განხილვა;
- სოციალური სერვისები და პროგრამები;
- მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარება და განაშენიანება;
- კულტურული ღონისძიებები;
- განათლება (მათ შორის სკოლისგარეშე, ადრეული და სკოლამდელი აღზრდა-განათლება);
- კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურა (საავტომობილო გზები და ტრანსპორტი);
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები;
- მოქალაქეთათვის პრიორიტეტული სხვა საკითხები.

ვალდებულების კავშირის სტრატეგიული ხედვის გრძელვადიან მიზანთან

- ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა პირდაპირ შეესაბამება მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ ხედვას.

OGP-ის პრინციპებთან შესაბამისობა

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციური მიდგომები მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის.

ვალდებულება N3 მოქალაქეთა უკუკავშირის ონლაინ პლატფორმის დანერგვა

- ვადები- იანვარი 2023- აგვისტო 2025
- წამყვანი განმახორციელებელი უწყება- ქ.ქუთაისის მერია(დონორი ორგანიზაცია)

ვალდებულების აღწერა

<u>პრობლემა:</u>

ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცირეა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ინფორმირებულნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გაწერილი მონაწილეობის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ. შესაბამისად, დაბალია მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

<u>ქმედება:</u>

ეს ვალდებულება გულისხმობს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე პლატფორმის, „მოქალაქეთა უკუკავშირი/Citizens feedback“ დამატებას, რაც ნებისმიერ მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას შეაფასოს ის მუნიციპალური პროგრამა და სერვისი, რომლითაც მან ისარგებლა საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

მუნიციპალური პროგრამისა, თუ სერვისის შეფასებისთვის შემუშავდება უნივერსალური კითხვარი, რომელიც შედგენილი იქნება ასარჩევი/მოსანიშნი კითხვებისგან და მოქალაქეს დამატებითი კომენტარის დატოვების შესაძლებლობას მისცემს. მიღებული პასუხების შემდეგ, სტატისტიკური ინფორმაციის მიღების მიზნით, პლატფორმა ავტომატურად დააჯამებს მოსანიშნი კითხვების პასუხების პროცენტულ რაოდენობას, რომელიც პროაქტიულად გამოქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე.

აღნიშნული პლატფორმის პრაქტიკაში უკეთ დანერგვისთვის, ჩატარდება საინფორმაციო კამპანია პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით.

ვალდებულების მოსალოდნელი შედეგები

ვალდებულების შესრულების შედეგად:

1. მუნიციპალიტეტს ექნება მეტი ინფორმაცია განხორციელებული მუნიციპალური პროგრამების ეფექტურობაზე.

2. საჭიროების კითხვარით იდენტიფიცირებული პრობლემები, მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს გააუმჯობესოს კითხვარში აღნიშნული სერვისების მიწოდება თუ სხვა მმართველობითი მიმართულებები.

3. მოხდება იდენტიფიცირებული საჭიროებებისა და მუნიციპალური პროგრამების შეფასების გათვალისწინება მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტის განსაზღვრის დროს.

4. დაინტერესებულ მხარეებს მეტი ინფორმაცია ექნებათ მოქალაქეთა კმაყოფილების დონისა და მოსაზრებების შესახებ

ვალდებულების კავშირის სტრატეგიული ხედვის გრძელვადიან მიზანთან

ვალდებულება მჭიდრო კავშირშია ქუთაისის მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ ხედვასთან უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესებში. ვალდებულება ასევე შეესაბამება საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2020-2025 ერთ-ერთ ამოცანას, რომელიც გულისხმობს მოქალაქეთა მონაწილეობის მაღალი ხარისხის ხელშეწყობას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესებში.

OGP-ის პრინციპებთან შესაბამისობა

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ანგარიშვალდებულება და კეთილსინდისიერება; ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციური მიდგომები მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებ